

შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ საწარმოო მიზნებისათვის წყლის მიწოდების მომსახურების ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ 2020 წლის 23 მარტის ბრძანება №24 დანართი N1

წყლის მიწოდების მომსახურების ხელშეკრულება N___

სამელიორაციო სისტემიდან საწარმოო მიზნებისათვის წყლის მიწოდების მომსახურების შესახებ

ქ. _____ /_____/_____წელი
ერთის მხრივ, შპს „საქართველოს მელიორაცია“ (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი
_____ სერვის-ცენტრის უფროსის _____ სახით და მეორეს მხრივ,
_____ (შემდგომში - მომხმარებელი), წარმოდგენილი დირექტორის _____ სახით, საქართველოს

კანონმდებლობის შესაბამისად ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „საქართველოს მელიორაციის“ სამელიორაციო სისტემიდან, მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის წყლის მიწოდების მომსახურება, საწარმოო მიზნებისთვის.
2. წყალმცირობის შემთხვევაში წყლის განაწილებისას პრიორიტეტი ენიჭება, პირველ რიგში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სამელიორაციო მომსახურებას და სამელიორაციო მომსახურების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს, შემდგომ ჰიდროელექტროსადგურებითვის წყლის მიწოდებას და ბოლოს საწარმოო მიზნებისთვის წყლის მიწოდებას.

მუხლი 2. მომსახურების ღირებულება, აღრიცხვა და ანგარიშსწორება

1. მომსახურების ღირებულება შეადგენს _____ ლარს დღე-ს ჩათვლით, საწარმოო მიზნებისთვის მიწოდებულ ყოველ 1000 მ³ წყალზე.
2. გაწეული მომსახურების აღრიცხვა ხორციელდება ყოველი თვის ბოლო რიცხვში მრიცხველის ან ფაქტიურად მიწოდებული წყლის ოდენობის მიხედვით, რის საფუძველზეც მომხმარებლისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი პირები ადგენენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.
3. საანგარიშო თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან 10 რიცხვის ჩათვლით მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მომსახურების საფასურის ოდენობის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო საფასურის გადახდა ხორციელდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 28 რიცხვისა.

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

1. მიმწოდებელი ვალდებულია:
 - 1.1. უზრუნველყოს მომხმარებლისათვის შესაბამის კვანძებში წყლის მიწოდება. ოპერატიულად აცნობოს მომხმარებელს წყლის მიწოდების გეგმა-გრაფიკში ცვლილებების შეტანის საჭიროების შესახებ;
 - 1.2. სამელიორაციო ინფრასტრუქტურის გაუმართაობის (ავარიის) შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს მომხმარებელს წყლის მიწოდების დროებით შეზღუდვის ან შეჩერების შესახებ.
2. მიმწოდებელს უფლება აქვს:
 - 2.1. შეუწყვიტოს მომხმარებელს წყლის მიწოდების მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით დაწესებული საფასურის გადაუხდელობის ან/და ანგარიშსწორების წესის დარღვევის შემთხვევაში;
 - 2.2. გაზარდოს მომსახურების საფასური ცალმხრივად, თუ ეს გამოწვეულია გარემოებების ცვლილებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად.
3. მომხმარებელი ვალდებულია:
 - 3.1. ოპერატიულად აცნობოს მიმწოდებელს წყლის მიწოდების შეჩერების შესახებ და აღნიშნული მომსახურების

აღდგენის შესახებ.

4. მომხმარებელს უფლება აქვს:

4.1. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა მომხმარებელს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ძალაშია 20__წლის _____-დან და მოქმედებს 20__წლის _____-ის ჩათვლით.
2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ვადაზე ადრე, თუ მეორე მხარე უხეშად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 5. ფორს მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს მაჟორით.
2. ფორს მაჟორი – სტიქიური უბედურება, სახელმწიფო გადატრიალება, სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანების მიერ დაწესებული შეზღუდვები ან/და აკრძალვები, თოშისა და ყინულის წარმოქმნა, გვალვა, წყალმცირობა, წყალმცირობის შემთხვევაში სამელიორაციო მომსახურების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები, ასევე სხვა ისეთი გარემოებები, რომელთა წარმოშობაზე, განვითარებასა და მართვაზე მხარეებს გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ.
3. ხელშეკრულების მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ფორს მაჟორული ვითარების დადგომის შესახებ. თუ ფორს მაჟორული ვითარება არ დასრულდება წარმოშობიდან ერთი თვის განმავლობაში, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა და დავის გადაჭრის წესი

1. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ერთმანეთისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისთვის მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს _____ სერვის-ცენტრის _____.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე – მომხმარებელს.
2. ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნეს ცვლილებები ან/და დამატებები. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხი შეიძლება მოწესრიგდეს ხელშეკრულების დანართით.
3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ხორციელდება მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება, ასევე ხელშეკრულების ყოველი დანართი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებელი

შპს „საქართველოს მელიორაცია“
საიდენტიფიკაციო კოდი: 204524568
მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქუჩა N6.
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ. ნომერი: GE42TB7484736020100003

მომხმარებელი

საიდენტიფიკაციო კოდი: _____
მისამართი: _____